



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყოველკვირეული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**

N 03, 2024

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
ყაზახეთი 2024 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტით 1.5 მლნ ტონა ნავთობის ექსპორტს გეგმავს .....	2
ნავთობის აქციზიდან 2023 წელს ბიუჯეტში რეკორდული თანხა, 577 მილიონი ლარი შევიდა.....	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
მესტიაში ელექტროენერჯის დღიური მოხმარების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა.....	3
დეკემბერში ელექტროენერჯის 27% ესკო-მ შეისყიდა, 73% კი - პირდაპირი კონტრაქტით გაიყიდა.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	5
ნეტო-ადრიცხვა და მე-4 ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნები.....	5
რას გულისხმობს ენერგეტიკული გაერთიანება და რა სარგებელს აძლევს მომხმარებელს .....	6
კლიმატის ცვლილება.....	7
Cop28 შეთანხმება ჩაიშლება, თუ მდიდარი ქვეყნები არ შეწყვეტენ წიაღისეული საწვავის მოპოვებას, ამბობს კლიმატის მომლაპარაკებელი.....	7
როგორ მოვიქცეთ ნახშირბადის მართვის მომავალი ევროპული სტრატეგიის მიმართ...	8
ღონისძიებები .....	8

## ნავთობი და გაზი

### ყაზახეთი 2024 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტით 1.5 მლნ ტონა ნავთობის ექსპორტს გეგმავს

ყაზახეთი 2024 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მარშრუტით 1,5 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტს გეგმავს.

ამის შესახებ ყაზახეთის ენერჯეტიკის სამინისტრო იტყობინება.

მონაცემებით, 2024 წელს ყაზახეთში ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოპოვება 90,3 მლნ ტონაზეა დაგეგმილი. მოსალოდნელია, რომ ექსპორტის მოცულობა 70,8 მლნ ტონას მიაღწევს, მათ შორის 56,7 მლნ ტონა კასპიის მილსადენის კონსორციუმის სისტემის მეშვეობით.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/KwLymzHi>

### ნავთობის აქციზიდან 2023 წელს ბიუჯეტში რეკორდული თანხა, 577 მილიონი ლარი შევიდა

2023 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტმა ნავთობის აქციზიდან რეკორდული 577 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, ეს 2022 წელთან შედარებით 25 მილიონი ლარით მეტია.

არსებული მდგომარეობით, ერთ ლიტრ საწვავზე აქციზის განაკვეთი 38 თეთრს შეადგენს, შესაბამისად მის გარეშე თითოეული ლიტრი საწვავი 38 თეთრით უფრო იაფი იქნებოდა.

ხაზინის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ბენზინის აქციზიდან მიღებულმა შემოსავალმა 2023 წელს 303 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2022 წელთან შედარებით 6 მილიონი ლარით ნაკლები იყო. რაც შეეხება დიზელის საწვავს, მიღებული სააქციზო შემოსავალი 235 მილიონი ლარი იყო, რაც წლიურად 22 მილიონი ლარით არის გაზრდილი. სხვა ნავთობპროდუქტების აქციზი კი 39 მილიონ ლარს შეადგენდა (ზრდა 9 მილიონი ლარი).

2024 წლის იანვრის მდგომარეობით, ერთი ლიტრი რეგულარის მარკის ბენზინის ღირებულება 3 ლარს შეადგენს, შესაბამისად, სააქციზო განაკვეთის გარეშე მისი საფასური 2.62 ლარი იქნებოდა. ამასთან, 3 ლარის ღირებულებაში ასევე შედის დამატებული ღირებულების გადასახადიც 18%-ის ოდენობით, რაც 54 თეთრს შეადგენს. ამ ორი გადასახადის (აქციზი 38 თეთრი+დღგ 54 თეთრი) გამოკლებით, ბაზარზე ლიტრი ბენზინი 92 თეთრით უფრო იაფი ეღირებოდა და მისი ფასი 2.08 ლარი იქნებოდა.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/kwLymmUS>

# ელექტროენერგეტიკა

## მესტიაში ელექტროენერჯის დღიური მოხმარების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა

16 იანვარს, მესტიაში ელექტროენერჯის მოხმარების ისტორიული რეკორდი დაფიქსირდა. პირველად, დღიურმა მოხმარებამ 500 ათასი კილოვატ-საათი შეადგინა - ამის შესახებ კომპანია "ენერჯო-პრო ჯორჯია" განცხადევას ავრცელებს.

იმავე დღეს, სრულად "ენერჯო-პროს" აბონენტთა მიერ მოხმარებულმა ელექტროენერჯიამ 14 მილიონი კილოვატ-საათი შეადგინა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული 14 მილიონი კილოვატ-საათი მოიხმარეს ყველა კატეგორიის მომხმარებლებმა, მათ შორის, დიდმა კომერციულმა თუ საბიუჯეტო აბონენტებმა. ხოლო, მხოლოდ მოსახლეობამ მოიხმარა დაახლოებით 6 მილიონი კილოვატ-საათი.

"გთხოვთ, ყურადღებით დავაკვირდეთ რიცხვებს, ჩვენს არეალში არსებული 56 ქალაქის თუ რაიონული ცენტრის, 35 დაბის და 3100 სოფლის 1 მილიონმა მოსახლემ მოიხმარა 6 მილიონი კილოვატ-საათი, ანუ დედაქალაქისა და ოკუპირებული რეგიონების გარდა, სრულიად საქართველოს მოსახლეობამ მოიხმარა 6 მილიონი კილოვატ-საათი და მათ შორის, ნახევარი მილიონი მოიხმარა ზემო სვანეთის სამი ათასმა მომხმარებელმა" - განაცხადა "ენერჯო-პრო ჰოლდინგის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ ბოცვაძემ.

"რა თქმა უნდა, კომენტარი ზედმეტია. მხოლოდ, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ნადგურდება რეგიონის ელმომარაგებისთვის არსებული ინფრასტრუქტურა, მატულობს ავარიული გათიშვების ოდენობა და სამწუხაროდ, ეს შეუქცევადი პროცესია. მატულობს ხანძრების რისკი, იზრდება რეგიონის ხანგრძლივი შეზღუდვის რისკები.

თუმცა, ამის პარალელურად, თითქოს, შესაძლებელი ყოფილა ხაზების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება, უფრო მეტი ინვესტირება და ქსელზე ახალი მომხმარებლებიც კი უნდა დავიერთოთ - რა თქმა უნდა, ღიმილის მომგვრელია ეს ყოველივე, თუმცა, ამ უმძიმეს ვითარებაში გვიწევს ოპერირების გაგრძელება. ალბათ, თუ რაიონმა მოიხმარა, 15 უფრო დიდი რაიონის ტოლფასი ელექტროენერჯია, კიდევ ისე უნდა გაძლიერდეს ქსელი რომ 30-40 რაიონის მოხმარება მოხერხდეს. რაღა უნდა ვისაუბრო, ეს ხომ არ არის პრობლემის გადაწყვეტის გზა? რა თქმა უნდა, ვცდილობთ, ჩვენს ბაზაში არსებულ აბონენტებს დროულად და ხარისხიანად გავუზრუნავთ სმს-ები, ავარიული გათიშვების თუ გეგმური შეზღუდვების შესახებ.

რაც შეეხება რეალურ საქმეს თუ მართლაც მნიშვნელოვან, საჭირობოროტო საკითხებს, ალბათ აუცილებელია გაანალიზდეს სამწუხარო, თუმცა, სავსებით შესაძლო სცენარი - დავუშვათ მესტიაში ფიქსირდება მინუს 20-25 გრადუსი; ელექტროენერჯის იმედად, ოჯახების უმეტესობას როგორც წესი, არ აქვს მომარაგებული შეშა; რეგიონში არ არსებობს გაზომომარაგება; დიდთოვლობის გამო ზოგიერთი მიმართულებით ჩახერგილია გზები და ამ დროს 1-2 სრული დღით ან უფრო მეტი ვადით წყდება ელექტროენერჯით მომარაგება. ამ შემთხვევაში რა ხდება? არის მესტია მზად ამისთვის? რა შედეგი შეიძლება დადგეს? ყოველ ზემო აღნიშნულ საფრთხეზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ არაკეთილსინდისიერ მომხმარებელს, რომლებიც ბოროტად იყენებენ იმ დიდ სიკეთეს, რაც აქვს მესტიის მოსახლეობას უკვე მრავალი წელია "ენერჯო-პროსგან", უფასო ელექტრომომარაგებას

ვგულისხმობ და ამ მიმართულებით, ზემო სვანეთში დალექილია კომპანიის 60 მილიონი ლარი.

რაც შეეხება გამოსავალს, რა თქმა უნდა, არსებობს, ჩვენს მიერ ოპერაციათა სრულად წარმოების შემთხვევაში, 1 წელიწადში მესტიაში დაიწყება მდგომარეობის გაუმჯობესება, დარეგულირდება მიწოდებული ელექტროენერჯის ყველა პარამეტრი, შემცირებას დაიწყებს ავარიული გათიშვების ოდენობა, მესტიის მოხმარება გახდება გონივრული და ამ ყველაფრით რეგიონს თავიდან ავაცილებთ გარდაუვალ ენერგეტიკულ კოლაფსს. ეს გამოსავლები პირველ რიგში სჭირდება მესტიის კეთილსინდისიერ მომხმარებლებს, ზოგადად მთელს ზემო სვანეთს და არა ენერგო-პროს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, მზადყოფნას კვლავ ვადასტურებთ დავიწყოთ შესაბამისი ცვლილებები“ - აცხადებს "ენერგო-პრო ჰოლდინგის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ბოცვაძე.

წყარო: <https://cutt.ly/zwLymOQM>

### დეკემბერში ელექტროენერჯის 27% ესკო-მ შეისყიდა, 73% კი - პირდაპირი კონტრაქტით გაიყიდა

2023 წლის დეკემბერში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 304 174 189 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში, ქსელში მთლიანი მიწოდების 27% წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 44 578 526 ლარი შეადგინა.

ესკოს ინფორმაციით, დეკემბერში საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილმა ფასმა ერთ კილოვატ საათზე 14,6555913 თეთრი შეადგინა, ხოლო დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა - 12,017 თეთრი.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის უმეტესი ნაწილი შედგება ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯისგან. საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ჰიდროელექტროსადგურების წილი 48% იყო, ქარის ელექტროსადგურის - 2,1%, თბოელექტროსადგურის - 49.3%, ხოლო იმპორტის წილი - 0,2%.

2023 წლის დეკემბერში ესკო-დან პირდაპირი მომხმარებლების მიერ შესყიდულმა საბალანსო ელექტროენერჯის წილმა მთლიან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში 2,8% შეადგინა. აგრეთვე, გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით, საბალანსო ელექტროენერჯია შეისყიდა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა, რომლის წილმაც საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში 7,5% შეადგინა.

დეკემბერში გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება 11 495 342 ლარი იყო.

წყარო: <https://cutt.ly/dwLymGLx>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### ნეტო-აღრიცხვა და მე-4 ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნები

მარეგულირებელი კომისიის ინტერესი და ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი, ხელი შეეწყოს განახლებადი ენერჯიების ათვისებასა და განვითარებას. ნეტო-აღრიცხვის პროგრამაში, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, გახდეს ელექტროენერჯიის მწარმოებელი და ამავდროულად იყოს თავისივე გამომუშავებული ენერჯიის მომხმარებელი, დღეისთვის 1000-მდე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურია ჩართული, რომელთა დადგმული ჯამური სიმძლავრე 60 მეგავატს აღემატება.

ნეტო-აღრიცხვის განვითარებისათვის სემეკმა 2023 წელს ახალი რეგულაციები ამოქმედა, რაც ელექტროენერჯიის სისტემის ოპერატორის ქსელში მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების მიერთების უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, 4%-დან 8%-მდე გაიზარდა სისტემის ოპერატორის გამანაწილებელ ქსელში პიკური დატვირთვის შეზღუდვის ზედა ზღვარი, რომელსაც არ უნდა აღემატებოდეს სისტემის ოპერატორის ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე. აქვე, დამატებით დაზუსტდა, რომ გამანაწილებელ ქსელში ინვერტორის საშუალებით ჩართული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის დადგმულ სიმძლავრედ განისაზღვრება ინვერტორის ცვლადი დენის მხარეს არსებული დადგმული სიმძლავრე.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეტო-აღრიცხვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცვლილებებს გულისხმობს ევროპის მე-4 ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნები, რომელსაც ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების (Energy Community) წევრი სახელმწიფო, 2022 წლის ბოლოს შეუერთდა. მე-4 ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნების შესაბამისად, სხვადასხვა საკითხთან ერთად, ცვლილებები შეეხება განახლებადი ენერჯიის ე.წ. „თვითმომხმარების“ (Self Consumption) პრაქტიკის დანერგვას.

ევროპის საბჭოს კომისიამ მიიჩნია, რომ ნეტო-აღრიცხვა შეიძლება ეფექტიანი იყოს მხოლოდ წარმოების ბაზრის განვითარების საწყის ეტაპზე. ევროპაში უკვე რამდენიმე წელია, მიმდინარეობს განხილვები ნეტო-აღრიცხვის სქემიდან უფრო მოქნილ სქემაზე გადასასვლელად, რაზეც ევროპის ენერგეტიკის მარეგულირებლების სააგენტოსა (ACER) და ევროპის ენერგეტიკის მარეგულირებლების საბჭოს (CEER) მიერ გაცემულია რეკომენდაციები. ევროპის მსხვილი ენერგეტიკული ორგანიზაციების შეფასებით, ნეტო-აღრიცხვა ამცირებს მომხმარებლების მოქნილობას ენერჯიის დროში დიფერენცირებული ფასების მიმართ, აფერხებს ე.წ. „მოქნილობის ბაზრის“ განვითარებასა და ზოგადად იმას, რომ მომხმარებლებმა შეასრულონ უფრო აქტიური როლი ელექტროენერჯიის მოთხოვნის მართვაში. შედეგად, შესაძლებელია, ბაზრის მონაწილეებმა თავი აარიდონ საქსელო მომსახურების საფასურის სამართლიანი წილის გადახდას და უარყოფითი გავლენა მოახდინონ იმ პირების მიერ მიღებულ სარგებელზე, რომლებიც სთავაზობენ სისტემას ე.წ. „მოქნილობის მომსახურებებს“.

ევროპული ორგანიზაციების კვლევების მიხედვით, განახლებადი ენერჯიების გამანაწილებელ ქსელში ინტეგრირების ერთ-ერთი გამოწვევა არის ის, რომ თვითმომხმარებელი – განახლებადი ენერჯიის მწარმოებელი, რომელიც ფლობს და სარგებლობს განახლებად ენერჯიაზე მომუშავე მიკროელექტროსადგურით, არ ეხმარება ელექტროენერჯიის გამანაწილებელ ქსელს მაშინ, როცა ეს საჭიროა. მის მიერ

ელექტროენერჯის წარმოება ელექტროსისტემის პიკურ დატვირთვას არ ემთხვევა. თუმცა ოპტიმალური გადაწყვეტის პირობებში, კერძოდ, როდესაც მზის პანელები აღჭურვილია შემნახველი მოწყობილობებით, შესაძლებელია ქსელში დატვირთვის დაბალანსება. ამავდროულად, აქტიური თვითმომხმარებლები ნაკლებად იყენებენ ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელს, რამდენადაც ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯის მოცულობა მცირდება მათ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის პროპორციულად. შედეგად, აქტიური თვითმომხმარებლები ნაკლებს იხდიან ქსელის აღდგენისა და რეაბილიტაციისთვის, მაშინ როდესაც სხვა კატეგორიის მომხმარებლებს, რომლებიც სარგებლობენ გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯით, მეტის გადახდა უწევთ. ნეტო-აღრიცხვა ამ ეფექტს მხოლოდ აძლიერებს, რაც, საბოლოოდ, ჯვარედინ სუბსიდირებას იწვევს.

დავუბრუნდეთ მე-4 ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნებს და განვმარტოთ, თუ ვინ არის თვითმომხმარებელი – ეს არის განახლებადი ენერჯის საბოლოო მომხმარებელი, რომელიც განახლებადი ენერჯების გამოყენებით აწარმოებს ელექტროენერჯის საკუთარი მოხმარებისთვის და რომელსაც შეუძლია შეინახოს ან გაყიდოს წარმოებული განახლებადი ელექტროენერჯია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასაყოფაცხოვრებო განახლებადი ენერჯის თვითმომხმარებლისთვის ეს საქმიანობა წარმოადგენს ძირითად კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას. ელექტროენერჯის წარმოების საკუთარი წყაროს მფლობელი შეზღუდულია მხოლოდ მისაერთებელი სიმძლავრით და მისი უმთავრესი ამოცანაა საკუთარი მოხმარების მაქსიმალური დაკმაყოფილება, ხოლო მის მიერ ჭარბად გამომუშავებული, გამანაწილებელ ქსელში გაცემული ენერჯია საათობრივად იყიდება ან/და გადაეცემა სხვა მომხმარებლებს. ქსელში გაცემული ელექტროენერჯის ვირტუალური დაგროვება და გაქვითვა არ ხდება. თვითმომხმარებლის მიერ წარმოებული ელექტროენერჯია სრულად იქნება აღრიცხული ადგილზე მოხმარებული და ქსელში გაცემული ენერჯის ჩათვლით. ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელში გაცემული ელექტროენერჯია შეიძლება გაიყიდოს ბაზარზე შესაბამისი საბითუმო ფასით ინდივიდუალური პირის მიერ ან გაზიარდეს მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფში.

ვფიქრობ, რომ მე-4 ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნათა ნორმის დანერგვა მომდევნო ეტაპებზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება განახლებადი ენერჯის რესურსების ეფექტიანი ათვისებისა და ელექტროენერჯის მოხმარების წილის ზრდაში, ასევე ელექტროენერგეტიკული სისტემის რაციონალურად გამოყენების კუთხით, გადამცემი და გამანაწილებელი ელექტროქსელის დამატებით სიმძლავრეებზე მოთხოვნისა და ქსელში დანაკარგების შემცირების თვალსაზრისითაც.

წყარო: forbes.ge - <https://cutt.ly/WwLyQw6G>

## რას გულისხმობს ენერგეტიკული გაერთიანება და რა სარგებელს აძლევს მომხმარებელს

ენერგეტიკული გაერთიანება მომხმარებლებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას გაერთიანდნენ და გახდნენ ენერჯის მწარმოებლები, გააუმჯობესონ ენერგოეფექტიანობა, შეინახონ სითბო და ელექტროენერჯია, ასევე ენერჯია მიაწოდონ ქსელს და საკუთარი მოთხოვნის მოქნილობა შესთავაზონ ბაზარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკული გაერთიანების შექმნისადმი მოთხოვნები აჩენს გარკვეულ რისკს, რომ განვითარების

სისწრაფის მხრივ მივიღოთ ჯგუფები, რომლებსაც: არ აქვთ საჭირო რესურსები, განათლება და არ აქვთ დრო მიიღონ ენერგეტიკული გაერთიანების შეთავაზებული სარგებელი. ამ რისკების პრევენციისთვის კი მნიშვნელოვანია ლიდერების მხარდაჭერა ენერგეტიკული გაერთიანების შექმნის პროცესში. უფრო კონკრეტულად, იმ ადამიანების, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მსგავსი საქმიანობის შექმნითა და კოლექტიურ ქმედებებში ჩართვით.

ენერგეტიკული გაერთიანებას რამდენიმე მიზანი აქვს, კერძოდ, ყველა მოქალაქის ჩართვა ენერგეტიკულ გაერთიანებასა და კოლექტიურ ქმედებაში. მათ შორის, იმ ადამიანებისაც, რომლებსაც არ აქვთ დრო, რესურსების, ინფორმაცია ან ციფრული უნარები; ადგილობრივი ლიდერების მხარდაჭერა - საუბარია ადამიანებზე, რომლებსაც სურვილი აქვთ აღნიშნული გაერთიანებების შექმნის.

საბოლოო ჯამში, ენერგეტიკული გაერთიანებები საყოფაცხოვრებო დონეზე მომხმარებლებს აძლევს საშუალებას ჰქონდეთ ელექტროენერჯის გენერაციის საკუთარი წყარო და შემდგომში სწორედ ამ გამომუშავებული ენერჯით ისარგებლონ. იმ შემთხვევაში თუკი ენერჯია ჭარბად გამომუშავდება, მომხმარებელთა ჯგუფს შესაძლებლობა აქვს, მისი რეალიზაციის და დამატებითი ფინანსური სარგებლის მიღების.

ენერგეტიკული გაერთიანების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ოფიციალურ ვებ-საიტზე: [energy4all.ge](http://energy4all.ge). მოცემულ პლატფორმაზე ნებისმიერ ადამიანს შესაძლებლობა აქვს დეტალურად გაეცნოს უშუალოდ პროექტის კონცეფციას და მიიღოს ამომწურავი პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რომელიც მას ექნება. საიტზე გადასვლით მიიღებთ ასევე ინფორმაციას თუ როგორ დაუკავშირდეთ პროსუმერებსა თუ ინვესტორებს. ამასთან, გაეცნობით ამ მიმართულებით არსებულ კანონმდებლობას, შესაძლებლობა გექნებათ გაეცნოთ დაფინანსების მოძიების სხვადასხვა გზებს, რომლებიც ენერგეტიკული გაერთიანებების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

წყარო: [energynews.ge](http://energynews.ge) - <https://cutt.ly/FwLyQiiT>

## კლიმატის ცვლილება

### Cop28 შეთანხმება ჩაიშლება, თუ მდიდარი ქვეყნები არ შეწყვეტენ წიაღისეული საწვავის მოპოვებას, ამბობს კლიმატის მომლაპარაკებელი

G77-ის პრეზიდენტი პედრო პედროსო აფრთხილებს, რომ შეთანხმება ჩაიშლება, თუ ისეთი დამაბინძურებლები, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, აშშ და კანადა, არ გადახედავენ ნავთობისა და გაზის მოპოვების გაზრდის გეგმებს.

Guardian-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში პედრო პედროსომ, განვითარებადი ქვეყნების პლუს ჩინეთის ბლოკის - G77-ის პრეზიდენტმა, გააფრთხილა, რომ გასულ წელს დუბაიში კლიმატის მოლაპარაკებებზე დადებული საეტაპო შეთანხმება ჩავარდნის რისკის ქვეშაა.

„ჩვენ მივაღწიეთ რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს Cop28-ზე, მაგრამ ახლა ჩვენი ამოცანაა, თუ როგორ გადავაქციოთ გარიგება ხალხისთვის მნიშვნელოვან ქმედებად“, - თქვა პედროსომ.



”როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, თუ საკუთარ თავს არ მოვიტყუებთ, არცერთი მსხვილი განვითარებული ქვეყანა, რომელიც არის ემისიების ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო, არ ატარებს პოლიტიკას, რომ ჩამოშორდეს წიაღისეულ საწვავს, პირიქით, ისინი აფართოვებენ თავიანთ საქმიანობას”, - თქვა პედროსომ.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/CwLyQsD7>

## როგორ მოვიქცეთ ნახშირბადის მართვის მომავალი ევროპული

### სტრატეგიის მიმართ

ევროკომისიის ნახშირბადის მართვის მომავალი სტრატეგია შესთავაზებს 2050 წლისთვის CO<sub>2</sub>-ის სეკვესტრს ყოველწლიურად 450 მილიონ ტონამდე და დაიწყებს დებატებს ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სქემის მომავლის შესახებ.

6 თებერვალს, ევროკომისია წარადგენს თავის ხედვას ნახშირბადის მართვის შესახებ სამრეწველო მასშტაბებში, მათ შორის მისი ჩაჭერის, შენახვისა და გამოყენების ჩათვლით, რაც აუცილებელია კლიმატური მიზნების მისაღწევად.

„2050 წლისთვის ეკონომიკის მასშტაბით კლიმატ-ნეიტრალობის მიღწევა საჭიროებს ნახშირბადის მოცილებას, ძნელად შესამცირებელი სექტორებიდან ნარჩენი ემისიების დასაბალანსებლად“, - ნათქვამია Euractiv-ის საპროექტო წინადადებაში.

ბლოკის კლიმატური მიზნების შესრულება ნიშნავს, რომ ევროკავშირი „მზად უნდა იყოს 2030 წლისთვის წელიწადში მინიმუმ 50 მილიონი ტონა CO<sub>2</sub>-ის ჩასაჭერად“, ნათქვამია პროექტში. 2050 წლის მიზანია 450 მილიონი ტონა წლიური შენახვა (MTA), ხოლო 2040 წლის შუალედური სამიზნეა 200 მლნ ტონა წლიურად.

„უმეტეს კლიმატურ სცენარებზე დაყრდნობით, ევროპას 2050 წლისთვის სჭირდება დაახლოებით 400-დან 500 მილიონ ტონამდე CO<sub>2</sub>-ის წლიური საცავები“, ამბობს ედბჰარდ პერნო, რომელიც მართავს ნახშირბადის ჩაჭერის პოლიტიკას არასამთავრობო ორგანიზაცია „სუფთა ჰაერის“ სამუშაო ჯგუფში.

### აირის პირდაპირი ჩაჭერის მიზანი

მაგრამ ის, რაც კომისიას სურს შესთავაზოს, სცილდება ამას. „გარდა ამისა, საჭირო იქნება 100-დან 200 მილიონ ტონამდე CO<sub>2</sub>-ის უშუალოდ ატმოსფეროდან ჩაჭერა“, - ნათქვამია კომისიის დოკუმენტის პროექტში.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/QwLyQzjx>

## ღონისძიებები

[ZeroCarbonIndustry 2024](#) - კონფერენცია ნულოვანი ნახშირბადის მრეწველობის შესახებ

თარიღი: 30–31 იანვარი, 2024

ორგანიზატორი: eceee

ადგილი: ანტვერპენი, ბელგია

კონფერენცია - [მდგრადი ენერგეტიკის მსოფლიო დღეები 2024](#)

თარიღი: 05–08 მარტი, 2024

ორგანიზატორი: OÖ Energiesparverband

ადგილი: Stadthalle, ველსი, ავსტრია

თემატიკა: ენერგეტიკული გადასვლა, კლიმატ-ნეიტრალობა, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია, ბიოენერჯია, ენერგეტიკული პოლიტიკა, მრეწველობა, ე-მობილობა, შენობები, დაფინანსება, ტექნოლოგიები

[GlobalMethaneForum 2024](#)- მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ჟენევა, შვეიცარია

კონფერენცია - [CO<sub>2</sub>-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15–16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES MediaGroup

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია